ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №968382

ნომერი: AR1173334

თარიღი : 28.10.2013

გაცემის თარიღი : 29.10.2013

გაცნობის თარიღი : 05.11.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ამაშუკელი პ/ნ 01017037264
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე

ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 28 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოვიდა თქვენი N AR1173334 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გმირთა მოედანი N1–ში სარეკლამო ბანერების განთავსების საკითხს. საპროექტო ობიექტს "ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
აღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენი 2013 წლის 28 ოქტომბრის N AR1173334 განცხადების განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება სცდება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილების საზღვრებს.

საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.#4.